ჰადისებს ვსწავლობ

# დასახმარებლად გავრბივართ



ალლაჰს უხარია, როდესაც გაჭირვებაში მყოფთათვის დასახმარებლად გარბიან. (ჰადისი შერიფი)

muslim Georgia International charity foundation
გამომცემლობა თიმაში ბავშვები

# ჰადისებს ვსწავლობ

# დასახმარებლად გავრბივართ


ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)



ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი

გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი







მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფთან და თარიქთან გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღში, თარიქი კი პირველ კლასშია. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ. მათი მშობლები ქაღალდზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ. ჰადისები, ჩვენი შუამავლის ნაბრძანები ლამაზი და აღმზრდელობითი შინაარსის სიტყვებია. ზეინეფი და თარიქი ყოველი კვირის განმავლობაში თითო ჰადისს სწავლობენ. თავდაპირველად "სალლალლაჰუ ღალეიჰი ვესელლემ (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს ესალმებიან, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ. ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან და შემდეგ კი ცდილობენ ჰადისის შესაბამისად მოიქცნენ. ასეთი ქმედებით სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.









ზეინეფი და თარიქი ოჯახთან ერთად საუზმობდა.
თარიქმა იკითხა:

## –მამა, დღეს პარკში წავიდეთ?



ვიდრე მამა უპასუხებდა, ზეინეფმა თქვა:
–ჰადისის ამოღების გარეშე არ გამოვა. ამ კვირას ჩემი რიგია!
ამის შემდეგ მამამ, ბატონმა მეჰმეთმა, თქვა:
–კარგი, ჯერ ჰადისი ამოვიღოთ, შემდეგ კი შეგვიძლია პარკში წავიდეთ.
და–ძმამ, გახარებულებმა, დაიყვირა:

## –რა მაგარია!





ზინეფი და თარიქი იმ ოთახთან მივიდნენ, სადაც ჰადისის ყუთი იყო.
–ჩვენი საყვარელი შუამავლის ლამაზი სიტყვებიდან კიდევ ერთს ვისწავლით!
–ამბობდნენ გახარებულები.
სწორედ ამ დროს ოთახიდან ხმა მოესმათ.



ყველა სამზარეულოში იყო, ვინ შეიძლებოდა შიგნით ყოფილიყო? ზინეფს ძალიან შეეშინდა. სასწრაფოდ ძმის უკან დაიმალა.
თარიქმა უთხრა:

**–ნუ გეშინია ზინეფ.**

**მე დაგიცავ.**

უხაროდა დის გმირი რომ ხდებოდა.
ოთახს ნელა მიუახლოვდნენ. კარიდან შიგნით შეიხედეს.




HADİS






და რას ხედავენ! მათი კატა,
მირმირი, ჰადისის ყუთის
თავსახურით თამაშობს.
თათით სახურავს
ახდიდა და ხურავდა.

## – მირმირ, ძალიან შეგვაშინე

– თქვა თარიქმა და შიგნით შევიდა.
ზეინეფიც უკან მიჰყვა.
მირმირთან მივიდნენ, თათებში
ჰადისის ფურცელი
დაუნახეს.
ზეინეფმა თქვა:
– ჭკვიანო მირმირ,
ჩვენამდე მოსულხარ
და კვირის ჰადისი
ამოგიღია.











თარიქმა მირმირის თათემში მომწყვდეული ქაღალდი აიღო. ზეინეფს ფურცელზე დაწერილი ჰადისი ძალიან აინტერესებდა.

–მიდი ძმაო, წაიკითხე!

–კარგი, – თქვა თარიქმა და ქაღალდზე დაწერილი ჰადისი წაიკითხა:

–"ალლაჰს უხარია, როდესაც გაჭირვებაში მყოფთათვის დასახმარებლად გარბიან."



ზეინეფმა თქვა:

–მე ჩემს მეგობრებზე დახმარება ძალიან მიყვარს.

–სხვებსაც უნდა დავეხმაროთ –დაამატა თარიქმა.







და-ძმა სამზარეულოში დაბრუნდა, დედა სუფრას ალაგებდა. მას უთხრეს, რომ კვირის ჰადისი "ალლაჰს უხარია, როდესაც გაჭირვებაში მყოფთათვის დასახმარებლად გარბიან." იყო. ჰკითხეს: ვის, როგორ უნდა დახმარებოდნენ.



დედამ, ქალბატონმა მელექმა, ღიმილით უთხრა:

–მაგალითად, სამზარეულოს დალაგებაში შეგიძლიათ მომეხმაროთ.

–ძალიან კარგი აზრია! –თქვეს თარიქმა და ზეინეფმა და ტაში დაუკრეს.

სამზარეულოს საქმეების დასრულებისას ძალიან ბედნიერნი იყვნენ.



**სხვაზე დახმარება იმასაც აბედნიერებს, ვინც ეხმარება.**







დედამ ზეინეფსა და თარიქს თვალების დახუჭვა სთხოვა. ორივეს მკერდზე რაღაც მიამაგრა.

–ახლა შეგიძლიათ თვალები გაახილოთ!

–უთხრა.

ფერადი სამკერდის დანახვისას და-ძმამ ჰკითხა:



## -დედა ეს რაა?



–თქვენი დიდსულოვნების მაჩვენებელი სამკერდეა. თქვენს ასაკში რომ ვიყავი, ჩვენს ქუჩაზე "დიდსულოვანი ბავშვების კლუბი" იყო. ამ კლუბში გაწევრიანებული ბავშვები, ამ სამკერდეს იკეთებდა და მთელს ქუჩას ეხმარებოდა.







მოგვიანებით დედამ მათ საჭმლის ჩანთა მოუმზადა. ბოლოს სამკერდეებიც ჩადო. ჩანთა მათ მამას, ბატონ მეჰმეთს, რომ მისცა, უთხრა:



–ვნახოთ დღეს გაჭირვებაში მყოფებს თუ გადაეყრებით. ზეინეფი და თარიქი თუ მათ დაეხმარა, შეგიძლია სამკერდე გაუკეთო.

## –რა მაგარია!

## ჩვენც ქველმოქმედები გვინდა გავხდეთ –წამოიყვირა და–ძმამ.

მოსამზადებლად ოთახისკენ გაიქცნენ.







და-ძმამ მამასთან ერთად სახლიდან წავიდა. მოხუცი ბიძა ტროტუარზე ისვენებდა. ისინი რომ დაინახა, სთხოვა:

-შეგიძლიათ პარკის წაღებაში მომეხმაროთ?

-რა თქმა უნდა ბიძია

- უთხრა ორივემ დიდი სიხარულით და პარკები წაიღეს.

მოხუცმა ბიძამ გაუღიმა და უთხრა:



**-ყოჩაღ ამ ბავშვებს!**

**რამდენად დიდსულოვნები არიან.**

ზეინეფმა და თარიქმა მას ხელი დაუქნიეს და პარკისკენ წავიდნენ.





პარკში შესვლისას ტირილის ხმა მოესმათ. ზეინეფის ასაკის გოგონა,

–სად ხარ ფონფონ? –ამბობდა და ტიროდა.

მას მიუახლოვდნენ და ჰკითხეს რატომ ტიროდა. გოგონამ ზლუქუნით უპასუხა:



–ჩემს პატარა ძაღლს, ეზოში თავის სახლში ძალიან მოეწყინა. პარკში გასასეირნებლად გამოვიყვანე, მაგრამ ის დავკარგე. ჩემი ძაღლის პოვნაში დამეხმარებით?

და–ძმამ მამას გახედა. მამამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შემდეგ უთხრეს:

**–რა თქმა უნდა დაგეხმარებით.**







მამამ ზეინეფი და თარიქი გააფრთხილა:
–თავდაპირველად ბაღლის მახასიათებელი ნიშნები უნდა გაიგოთ.

**–პატარა, ბუთხუზა, შავ–თეთრი ბეწვით**

–აუხსნა პატარა გოგონამ.

–ანუ თავის სახელს, ფონფონს, ჰგავს –თქვა თარიქმა და ერთად გაიცინეს.
თარიქი მოწყენილი გოგონას გაცინებამ ძალიან გაახარა. სამმივემ ერთად დაიწყო პარკის შემოვლა. თან ყვიროდნენ:

**–ფონფონ! სად ხარ?**









პარკის აუზს რომ მიუახლოვდენ ლეკვის
ყეფის ხმა მოესმათ.
–ეს ჩემი ძაღლის ხმაა – ნერვიულად
დაიყვირა პატარა გოგონამ.
თარიქმა თქვა:

**–ჩჩჩ! წყნარად იყავით. მოვუსმინოთ საიდან მოდის ხმა.**

მიუახლოვდნენ იმ ადგილს, საიდანაც ხმა
მოდიოდა.
და რას ხედავენ! ფონფონი ცარიელ აუზში
ჩავარდნილა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად
ვერ ამოდის. ცდილობდა, მაგრამ ისევ უკან
სრიალებდა.









თარიქი პარკის დაცვისკენ გაიქცა. გოგონები კი ძაღლს გვერდიდან არ მოშორდნენ.

დაცვის თანამშრომელი საქმის ვითარებას გაერკვა და კიბე თან წაიღო. თარიქთან ერთად ცარიელ აუზთან მივიდა.



დაცვის თანამშრომელმა აუზში ჯერ კიბე ჩაუშვა, მერე კი თვითონ ჩავიდა. ფონფონი კალთით ზევით აიყვანა. ყველამ ერთხმად ტაში დაუკრა.

**პატარა გოგონამ ზეინეფსა და თარიქს, აგრეთვე დაცვის თანამშრომელს მადლობა გადაუხადა.**

როგორც იქნა საყვარელი ფონფონი დაუბრუნდა.









ბატონმა მეჰმეთმა ჩანთიდან სამკერდეები ამოიღო. ამ დროს ზეინეფმა და თარიქმა პატარა გოგონას სამკერდის დანიშნულება აუხსნეს. მან უთხრა:

– დიდსულოვნების სამკერდე მე მინდა გამიკეთოთ.



ბატონი მეჰმეთის ნებართვით, მათ საყელოზე სამკერდეები გაუკეთა. თარიქმა კიდევ ერთი სამკერდე აიღო. შემდეგ დაცვას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– შეიძლება სამკერდე გაგიკეთოთ?

– **რა თქმა უნდა! ეს ჩემი აღებული ჯილდოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.** – თქვა დაცვამ და ყველამ ერთად გაიცინა.





ზეინეფი და თარიქი სახლში დაბრუნებისას ძალიან ბედნიერნი იყვნენ. საყელოზე მიმაგრებული სამკერდეები დედას აჩვენეს. დედამ მათ გემრიელი შოკოლადის ტორტი გამოუცხო. ტორტის გემრიელად მირთმევისას, დედას პარკში მომხდარ ამბებზე მოუყვნენ. "დიდსულოვანი ბავშვების კლუბი"-ს ისევ ჩამოყალიბებაზე და პატარა გოგონას გაწევრიანებაზე ელაპარაკნენ. დედა ამან ძალიან გაახარა და უთხრა:



–თქვენით ვამაყობ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შუამავლის რჩევის მიხედვით ქცევისთვის, ალლაჰსაც ძალიან უყვარხართ.



მოდით მეგობრებო დახმარების მოყვარულთა სამკერდეები დავამზადოთ.

## რა დაგვჭირდება?

- -ასლის გადამყვანი ქაღალდი
- -მაკრატელი
- -ლენტი
- -მუყაოს ქაღალდი
- -ფანქრები
- -წებო



ვინმეს, ჩვენზე უფროსს ვთხოვოთ, რომ მუყაოს ქაღალდზე სამკერდე დაგვიხატოს. ასლის გადამყვანი ქაღალდის დახმარებით გავამრავლოთ.



სამკერდეები გავაფერადოთ და გამოვჭრათ. სასურველი სიდიდისა და ფერის ლენტი ჩვენი ოთახის კედელზე, კარზე ან სხვა ადგილას ჩამოვკიდოთ.

ვინმეს რომ დავეხმარებით, დავწეროთ ეს სამკერდეზე (ან ოჯახის წევრს დავაწერინოთ) და ეს სამკერდე ლენტზე მივაკრათ. (შეგვიძლია სკრეპით ან სამაგრით მივამაგროთ). ვნახოთ რამდენ სამკერდეს შევაგროვებთ.



muslim.georgia